




ხაშურის მთაშუა



№3-4 (134-135)

15 იანვარი, ორშაბათი,

2018 წელი

საჯაროება დღევანდელი ხელისუფლების ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერია ნებისმიერ დოკუმენტს იქნება ეს დადგენილება თუ რომელიმე ნორმატიული აქტი, საჯაროდ აცნობს რაიონის მოსახლეობას. გასული წლის მიწურულს, საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის 2018 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რომლის პროექტს ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო, გაზეთის გამოსვლის სპეციფიკური ფორმატის გამო, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ გასულ წელსვე მიგვეწოდებინა მკითხველისათვის აღნიშნული დოკუმენტი. დღეს კი გთავაზობთ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომლითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გაეცნობა თუ რა პრიორიტეტებია წლის განმავლობაში და რა პროექტების, პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება იგეგმება.

განმარტებითი ბარათი ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 11 990,8 ათასი ლარის ოდენობით, რაც 1 440,8 ათასი ლარით აღემატება 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 11 990,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გადასახადები (საშემოსავლო და ქონების გადასახადი) განსაზღვრულია 2 650,0 ათასი ლარით, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 450,0 ათასი ლარით, კერძოდ 350,0 ათასი ლარით შემცირებულია საშემოსავლო გადასახადი, ხოლო ქონების გადასახადი - 100,0 ათასი ლარით, 1 926,7 ათასი ლარით გაზრდილია გათანაბრებითი ტრანსფერის სიდიდე და განსაზღვრულია - 7 140,8 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 225,0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები - 1 925,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი პრივილიგირებული) - 50,0 ათასი ლარით, აღნიშნული შემოსულობები დაგეგმილია 2017 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 4 ოქტომბრის 04-03/149341 და 30 ნოემბრის 04-03/181678 წერილების საფუძველზე.

შესაბამისად, 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადების სიდიდე (ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა) განსაზღვრულია 11 990,8 ათასი ლარის ოდენობით.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ბიუჯეტის გადასახადები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- შრომის ანაზღაურება - 1 735,3 ათასი ლარი;
 - საქონელი და მომსახურება - 970,2 ათასი ლარი;
 - სუბსიდიები - 5 231,4 ათასი ლარი;
 - გრანტები - 23,0 ათასი ლარი;
 - სოციალური უზრუნველყოფა - 757,9 ათასი ლარი;
 - სხვა ხარჯები - 423,2 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 848,2 ათასი ლარი;
 - ვალდებულებების კლება - 1,6 ათასი ლარი;
- რაც შეეხება ფუნქციონალური კლასიფიკაციის ძირითადი ჯგუფების მიხედვით ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლებს, დაჯაჯუფდა შემდეგი სახითა და ოდენობით:
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 2 298,4 ათასი ლარი;
 - თავდაცვა - 125,0 ათასი ლარი;
 - ეკონომიკური საქმიანობა - 1 408,6 ათასი ლარი;
 - გარემოს დაცვა - 1 346,0 ათასი ლარი;
 - საბინაო კომუნალური მეურნეობა - 823,2 ათასი ლარი;
 - ჯანმრთელობის დაცვა - 95,0 ათასი ლარი;
 - სპორტი, კულტურა და რელიგია - 3 074,6 ათასი ლარი;
 - განათლება - 1 833,5 ათასი ლარი;
 - სოციალური დაცვა - 984,9 ათასი ლარი;

2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, ასევე გაზრდილია თითქმის ყველა პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. კერძოდ:

ხაშურის მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 300,0 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტების განათლების სისტემების მოვლა-შენახვის პროგრამის დასაფინანსებლად - 274,2 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებების დასაფინანსებლად - 896,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 20,0 ათასი ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობისათვის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია - 54,0 ათასი ლარი, უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაციისათვის - 63,0 ათასი ლარი, გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების და დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამის დასაფინანსებლად - 300,0 ათასი ლარი,

გაზრდილია აგრეთვე ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის დაფინანსება, პროგრამა ვრცელდება 13 საბავშვო ბაღზე, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1990 აღსაზრდელი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ტეხერი, ბიჯნისი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის აღტერნატიული საადმინისტრაციო ჯგუფების ფუნქციონირება. აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 711,1 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 193,8 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამა მოიცავს ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის საშუალო სკოლების დაფინანსებას, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 471 მოსწავლეს, გათვალისწინებულია აგრეთვე სამივე საშუალო სკოლის

გათბობის ხარჯის დაფინანსება, ასევე ხაშურის საშუალო სკოლაში ფუნქციონირებს ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებლის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა და სიმებიანი კვარტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელთა დაფინანსებაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამიდან .

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, 297,9 ათასი ლარით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი. 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სპორტული ღონისძიებების პროგრამა - 244,6 ათასი ლარით;
- კულტურული ღონისძიებების პროგრამა - 157,2 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა - 25,0 ათასი ლარით;
- მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 157,0 ათასი ლარით;
- ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 145,0 ათასი ლარით;
- ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 252,6 ათასი ლარით;
- საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - 40,8 ათასი ლარით;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამა ფინანსდება 50,0 ათასი ლარით;

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერიდან 2018 წლის ბიუჯეტით, დაგეგმილია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსება 125,0 ათასი ლარით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა დაფინანსდება 95,0 ათასი ლარით და სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარით.

2018 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია აგრეთვე სოციალური პროგრამების დაფინანსება, რისთვისაც გათვალისწინებულია 984,9 ათასი ლარი, კერძოდ:

უმწველთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა დაფინანსდება 135,0 ათასი ლარით;

ასი და მეტი წლის უხუცესთა ერთჯერადი დახმარებები - 2,0 ათასი ლარით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 34,0 ათასი ლარით;

ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები, დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სსონის უკვდავყოფის ხარჯები - 24,6 ათასი ლარით;

საომარი მოქმედებების შედეგად ღვენილთა ყოფა-ცხოვრების პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებები 30,0 ათასი ლარით;

სახელოვნებო სკოლების მოსწავლეების უფასო მომსახურების პროგრამა - 23,0 ათასი ლარით; პროგრამა ვრცელდება სახელოვნებო სკოლების (ხაშური, სურამი, ქვიშხეთი) 190 მოსწავლეზე, ერთ მოსწავლეზე ყოველთვიურად გათვალისწინებულია 12 ლარი, კონტიგენტი მოიცავს ლტოლვილებს და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მოსწავლეებს;

სარიტუალო მომსახურების პროგრამა 5,0 ათასი ლარით;

კონფლიქტის ზონის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა 20,0 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების მიზნით გათვალისწინებულია 711,3 ათასი ლარი;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 605,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან განხორციელდება დაბა სურამში, 26 მაისისა და წმინდა ნინოს ქუჩების მოასფალტება, ასევე დაგეგმილია სოფელ ქვიშხეთში, ტეხერში და ზემო ოსიაურში გზის მოასფალტება. დაგეგმილია აგრეთვე ქალაქ ხაშურში, დაბა სურამში და სოფელ ცხრამუხაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა - 150,0 ათასი ლარი, ქალაქ ხაშურში, დაბა სურამში პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია - 245,0 ათასი ლარი, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 449,6 ათასი ლარი, სოფელ ტეხერში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის - 122,4 ათასი ლარი, ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციისათვის - 600,0 ათასი ლარი, ხაშურში სპორტკომპლექსის კეთილმოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენისათვის გათვალისწინებულია 570,0 ათასი ლარი, სოფელ ქვიშხეთში, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისათვის (რფგ-ის თანადაფინანსება) - 95,7 ათასი ლარი.

ამრიგად, 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა შემოსულობებმა მოგვცა შესაძლებლობა წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების.

მარინა გელაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7 365,8 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
გრანტები	9 312,7	10 660,4	7 365,8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 312,7	10 660,4	7 365,8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 196,8	5 443,1	7 365,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	4 986,7	5 214,1	7 140,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210,1	229,0	225,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4 115,9	5 217,3	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 083,3	4 932,3	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	856,8	0,0	0,0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0,0	0,0	0,0
მალაშვილის დასახლებების განვითარების ფონდი	175,7	285,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 925,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 168,2	1 956,9	1 925,0
შემოსავლები საკუთრებიდან	611,4	355	310
პროცენტები	152,8	50,0	0,0
დივიდენდები	0,0	0,0	0,0
რენტა	458,6	305	310
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	446,1	300,0	300,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაგება და სხვა) გადაცემიდან	12,5	5,0	10,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	375,5	401,9	415
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	349	380,3	385
სანებართვო მოსაკრებელი	38,1	30,3	35
სატენდერო მოსაკრებელი	0,00	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	0,0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	126,0	150,0	150,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	184,4	200,0	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	26,6	21,6	30
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	26,6	21,6	30
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 169,6	1 200,0	1 200,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	11,7	0,0	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 141,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9 025,0	8 891,8	145,0	8 746,8	9 141,0	0,0	9 141,0
შრომის ანაზღაურება	1 788,3	1 680,0	0,0	1 680,0	1 735,3	0,0	1 735,3
საქონელი და მომსახურება	1 069,2	920,2	0,0	920,2	970,2	0,0	970,2
სუბსიდიები	4 528,5	4 714,9	0,0	4 714,9	5 231,4	0,0	5 231,4
გრანტები	90,3	23,0	0,0	23	23	0,0	23,0
სოციალური უზრუნველყოფა	841,9	766,9	0,0	766,9	757,9	0,0	757,9
სხვა ხარჯები	706,9	786,8	145	641,8	423,2	0,0	423,2

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2 798.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
 ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2 848.2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	38,5	66,4	6,5
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	69,6	3,0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5 432,6	7 806,7	2 623,6
განათლება	1417,3	1 168,7	122,4
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	327,3	420,1	95,7
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	173,9	26,8	0,0
ს უ ლ	7 459,2	9 491,6	2 848,2

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	961,4	885,7	50,0
ძირითადი აქტივები	0,7	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	960,7	885,7	50,0
მიწა	960,7	885,7	50,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 250,8	2 223,9	2 298,4
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 250,8	2 223,9	2 298,4
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 250,8	2 221,2	2 268,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	2,7	30,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0

702	თავდაცვა	179,2	130	125
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 753,3	3 632,4	1 408,6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	2 666,5	2 736,6	905,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 666,5	2 736,6	905,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1 086,8	895,8	503,6
705	გარემოს დაცვა	1 565,0	1 178,9	1 346,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 061,6	870,0	896,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	152,3	83,9	150
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	122,5	0,0	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	228,6	225,0	300,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 170,4	2 265,9	823,2
7061	ბინათმშენებლობა	152,9	294,6	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	490,1	431,8	62,0
7064	გარე განათება	685,5	596,8	668,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	842	942,7	93,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	275	121,8	95,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	275	121,8	95,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 419,9	5 079,4	3 074,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 196,4	3 562,9	1 112,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 154,1	1 445,5	1 887,1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	69,5	71,0	75,0
709	განათლება	2 710,2	2 693,0	1 833,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 640,9	2 682,8	1 833,5
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	69,3	10,2	0
710	სოციალური დაცვა	1 160,2	1 058,10	984,9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,5	2,0	2,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	824,0	768,5	768,3
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	120,0	184,6	189,6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	213,7	103	25,0
	სულ	16 484,2	18 383,3	11 989,2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -1.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - 225,0 ათასი ლარი მიმართოს:

- ა) „სახოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 125,0 ათასი ლარი;
- გ) სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე ხორციელდება მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, რეაბილიტაცია და მოასფალტება, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, აგრეთვე განხორციელდება გზების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოასფალტება.

ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიტარული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია უმეტესად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მოწყობიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერჯით უზრუნველყოფას.

ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის კვითრის დარიგების მომსახურება.

ბ.გ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ბ.დ. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დაფინანსება.

ბ.ე. უმეტესად ურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ტერიტორიიდან მათი იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა.

გ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნებისა და სასაფლაოებელი პარკების, სკვერების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები, ასევე დაგეგმილია დღესასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ა. მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეჭვას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება.

გ.ბ. ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

გ.გ. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.

გ.დ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია.

გ.ე. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები, დაგეგმილია აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

გ.ვ. ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში სპორტკომპლექსის კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსება, ასევე დაგეგმილია სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა.

გ.ზ. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 15 საბავშვო ბაღი და სკოლამდელ განათლებას იღებს 1990 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშეთი, ტეხერი, ბიჯნისი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები.

ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწოდება, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე სტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1390 ბავშვი.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე.

ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- 0 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 0 წვეულებებისა და ღონისძიებების მოწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 0 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწოდება;
- 0 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 0 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 0 ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- 0 სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 0 ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 0 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- 0 ქ. ნოვოგრაფოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- 0 ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულის “ლეხიაობის” ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 0 ლიტვაში, დაამბილელულ ქალაქ რადვილინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- 0 ბელორუსიაში, დაამბილელულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- 0 ლატვიაში, დაამბილელულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- 0 პოლონეთში, დაამბილელულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- 0 თუატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;
- 0 ხაშურის თუატრის გასტროლების ორგანიზება;
- 0 27 სექტემბერი-აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 0 ფესტივალის „ხაშური - ოქროს შემოდგომა 2018“ ჩატარების ორგანიზება;
- 0 ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- 0 შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- 0 საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწოდება;
- 0 ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;
- 0 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 0 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 0 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 0 შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- 0 დაბა სურამში ფესტივალ „არტ გენის“ ორგანიზება;
- 0 სხვადასხვა ღონის კულტურული ღონისძიებები;

ბ.ბ. სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები და სასწავლო პროცესს გადის 471 მოსწავლე. პროგრამა ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული

კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მოტივაციას უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

ბ.გ. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

